საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №4
2013 წლის 22 მაისი

ქ. ქუთაისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების” (სსმ III, 01.12.2008, №170, მუხ. 1748) 27-ე მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სასმელი წყლის აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის ან წყალმომარაგების ლიცენზიანტსა და მომხმარებელს შორის სასმელი წყლის აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის განწილვადების შესახებ შეთანხმების შემთხვევაში, წყალმომარაგების ლიცენზიანტი უფლებამოსილია, გადასახდელი თანხა ასახოს ამ მომხმარებლის დავალიანებაში და იმოქმედოს ამ წესების მე-9 მუხლის შესაბამისად.“

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე	**გურამ ჩალაგაშვილი**
კომისიის წევრი	**მაია ნადირაძე**
კომისიის წევრი	**ზურაბ გაბელაია**
კომისიის წევრი	**სერგო მესხი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**